**ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,**
**ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრის,**
**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მარიკა დარჩიას**

**ანგარიში**

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარდა **ბიუროს 19** და **საკრებულოს 17** სხდომა, სადაც, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული განსახილველი საკითხების მომზადებაში. მიღებულ იქნა **388 განკარგულება** და **134 დადგენილება**.

ასევე მიღებული მაქვს მონაწილეობა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე სხვადასხვა აქტუალური თემების განხილვასა და მსჯელობაში (**16 სხდომა, 21 საკითხი**).

**კომისიური მუშაობა:**

**<u>განათლებისა და კულტურის კომისია</u>**

- **ჩატარებული სხდომების რაოდენობა:11**

**განხილული საკითხების რაოდენობა:17**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებში, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობის პროცესში.

განვიხილეთ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამები, „კულტურული ღონისძიებები“, „შემოქმედებითი თბილისი“, „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“, „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“, „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“, „სპორტული ღონისძიებები“, „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“.

კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში აღსანიშნავია ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „**მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების**“ დაფუძნება.

თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცე, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს მრავალფეროვანი ფონდით, როგორც წიგნადი (მატერიალური) ისე ელექტრონული რესურსებით.

ასევე, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, არქიტექტურულ მხატვრული კომპოზიციის მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცება, დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის გაცნობა.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობამ მნიშვნელოვნად განავითარა ჩვენი ქალაქი და მას ახალ სიცოცხლე შესძინა.

## სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

- **ჩატარებული სხდომების რაოდენობა: 11**

**განხილული საკითხების რაოდენობა: 99**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომებში, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობის პროცესში.

მონაწილეობა მივიღე მოსახლეობასთან შეხვედრებში და საჯარო განხილვებში სახელების შეთანხმებასთან დაკავშირებით.

სახელი მიენიჭა დედაქალაქის არა ერთ გეოგრაფიულ ობიექტს: ქუჩას, სკვერს, სპორტულ მოედანს.

ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე არტოს ბაღს მიენიჭა საზოგადო მოღვაწისა და კომპოზიტორის, გია ყანჩელის სახელი.

9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპული ქალბატონის სახელი მიენიჭა ჩუღურეთის რაიონში მდებარე ქუჩას;

ასევე, მსახიობების, რეჟისორების, საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლების სახელები მიენიჭა დედაქალაქის რიგ ქუჩებს.

## მოსახლეობასთან ურთიერთობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი რეალობის, საჭიროებებისა და ინიციატივების გაცნობის, მათთვის და დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს.

საანგარიშო პერიოდში შევხვდი და მოვუსმინე თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც როგორც საკრებულოს წევრს, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, აღსანიშნავია: სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, სპორტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო, ქუჩების სახელდება და სახელწოდების აღმნიშვნელი აბრების განთავსების თემები.

აქტიური კოორდინაცია მქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებთან. ასევე, ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიებთან, მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევის მიზნით.

ვარ თბილისის მერიის, თბილისის საპატიო მოქალაქეთა არჩევის კომისიის წევრი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, წლევანდელი საპატიო მოქალაქეების არჩევაც იყო, იმ მდგომარეობის გათვალისწინებით. რაც უკავშირდებოდა კოვიდ 19-ის ეპიდემიის გავრცელებას და მართვას, ამიტომ საბჭოს გადაწყვეტილებით საპატიო მოქალაქეებიც არცეული იქნა ამ პრინციპით. ისინი ექიმებით და ეპიდემიოლოგიით შეივსო და მათ დაემატა მწერალი გურამ დოჩანაშვილი, როგორც გამორჩეული და სახელოვანი მწერალი.

მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრების ფორმატში აღსანიშნავია, ასევე, საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად, მოსახლეობასთან გასვლითი, გაცნობითი თუ სხვა სახის ღონისძიებები. გამოვყოფდი, ისნის რაიონში რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას, მათ შორის სკრინინგის პროგრამების მობილური სადგურის პოპულარიზაციას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე. გავეცანი თითოეულ შემოსულ კორესპონდენციას და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ განსაზღვრულ ვადებში, სამდივნოს თანამშრომელთა ჩართულობით, თითოეულ მათგანზე მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება (მივიღეთ ცნობის სახით, გავუწიეთ შუამდგომლობა).

სისტემატურად კონტროლდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ცხელ ხაზზე შემოსულ ზარები, სადაც მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავენ ქალაქის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზონალურ ცვლილებებზე, სატრანსპორტო და სოციალურ თემებზე, ქუჩების სახელდებაზე, მიწის ლეგალიზებაზე.

ვასრულებ საკრებულოს წევრის კანონმდებლობით გაწერილ უფლეობა-მოვალეობებს, მათ შორის, ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდში ჩართული გახლდით აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაში. აპარატს, როგორც საკრებულოს სამუშაო რეჟიმის წარმმართველ, განსაკუთრებულ რგოლს, წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული თუ სოციალური პროექტი. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყო გასვლითი ტრენინგები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთათვის.

ჩემი ინიციატივით 2018 წლიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყო და დღემდე გრძელდება, ყოველი თვის პირველ შაბათს, შემეცნებით-კულტურული ხასიათის პროექტი „თბილისის ისტორიები საკრებულოდან“, რომელიც სხვადასხვა შინაარსის თემაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამჯერ ჩატარდა, აღსანიშნავია რომ ამ დროს 2 საათის განმავლობაში საკრებულოში სტუმრობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს. თემებს, ვარჩევთ მოქალაქეების ინტერესების და მოთხოვნის მიხედვით, ასევე განსაკუთრებით ვარჩევთ მომხსენებლებს.

არსებული პროექტი როგორც ავღნიშნე, გასული წლების განმავლობაში ტარდებოდა ყოველი თვის პირველ შაბათს, მაგრამ ამ წლის განმავლობაში მხოლოდ 3 შეხვედრის

მოწყობის საშუალება იყო. ამ შეხვედრებს დაესწრო ბევრი დაინტერესებული ადამიანი და პანდემიის მოთხოვნების შემსუბუქებისთანავე, პროექტი გააგრძელებს შეხვედრებს არსებულ რეჟიმში.

**წლევანდელი შეხვედრების თემებიც და მომხსენებლებიც განსაკუთრებით იყო შერჩეული:**

**2 ნოემბერი** (2019წ) - „გამომგონებელი და მეწარმე ქალების ისტორიები". მთხრობელი პროფესორი და გენდერული საკითხების სპეციალისტი - ლელა გაფრინდაშვილი.

**11 იანვარი** (2020წ) - წიგნის პრეზენტაცია „თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი თბილისი 1918-1921 წწ". წიგნი თბილისის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების შესახებ საინტერესო ისტორიებს აერთიანებს. მომხსენებლები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები - მირიან ხოსიტაშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ოთარ ჯანელიძე.

**1თებერვალი** (2020წ) - „გერმანელების კულტურული კვალი თბილისსა და საქართველოში". მთხრობელი: სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ნესტან თათარაშვილი

## გენდერული საბჭოს მუშაობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო და დადგენილებით განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. საბჭოს შემადგენლობაში შედის 21 წევრი (16 ქალი, 5 კაცი).

2018 წელს გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა და საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2020 წწ გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმის დამკვიდრება;
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა;

გენდერული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ დონეზე ქვეყნის მთავარი გენდერული სტრატეგიის ნაწილია. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, ასევე, თანამშრომლობას მაჟორიტარების წარმომადგენლობებთან, რაც გულისხმობს ყოველთვიური ინფორმაციის მიღებას თუ რა საკითხებით მიმართავენ მოქალაქეები მაჟორიტარების წარმომადგენლობებს დახმარების თხოვნით. ეს ყველაფერი იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ახლოს ვიდგეთ მოსახლეობასთან, გავეცნოთ მათ პრობლემებს და დავეხმაროთ საკითხების მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წავრებთან ერთად არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებასა და აქტივობაში მივიღე მონაწილეობა.

06 ნოემბერი 2019 წ - თბილისის საკრებულოში შვედეთის ადგილობრივი დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრის ICLD წარმომადგენლებს ვუმასპინძლეთ. აღნიშნული ცენტრი ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. პროექტი, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს გულისხმობს, 18 თვის განმავლობაში გრძელდება და მასში საქართველოს ოთხი მუნიციპალიტეტი და ასევე, თურქეთის, უკრაინის და ალბანეთის მუნიციპალიტეტები მონაწილეობენ.

18 ნოემბერი 2019წ - ვმონაწილეობდი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ საერთაშორიოსო კონფერენციაში, რაც არაფორმალური განათლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების, ასევე საერთაშორისო პროგრამების დანერგვას და გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა.

27 ნოემბერი 2019წ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრებთან ერთად ხანდაზმულთა პანსიონატ“ ბასილიადას“ ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები და ჟურნალები გადავეცით.

27 ნოემბერი 2019წ - შეხვდი მრავალშვილიან დედებს, მათთვის ახალი საკანონმდებლო ინიციატივის გაცნობის კუთხით. მრავალშვილიანობა ჩველი ქვეყნის სიძლიერეა. თბილისის თვითმმართველობა ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელების მათ დასახმარებლად და ხელშესაწყობად.

12 დეკემბერი 2019წ - ვმონაწილეობდი სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გამართულ კონფერენციაში „ფემიციდის პრევენცია და მონიტორინგი“ . კონფერენციაზე ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგის მნიშვნელობაზე, საერთაშორიო მასშტაბებზე და ღონისძიებებზე იყო საუბარი.

23 დეკემბერი 2019წ - თბილისის მერიისა და გამგეობების წარმომადგენლებთან ერთად შშმ ქალებს შევხვდი. შეხვედრაზე განვიხილეთ ის მუნიციპალური პროგრამები, რომლებით შშმ ქალთა უფლებებს ეხება.

27 დეკემბერი 2019წ - დავესწარი ღონისძიებას „გენდერული თანასწორობის მიღწევები და დაგეგმილი ღონისძიებები თბილისის მერიაში“. ვისაუბრე გენდერული საკითხების მნიშვნელობაზე და თბილისის საკრებულოში გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობებზე.

23 იანვარი 2020წ - თბილისის საკრებულოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და რეალობა“ წარმომადგენლები მივიღეთ. აღნიშნული ორგანიზაცია მოტივირებულ ინვალიდ ქალბატონებს აერთიანებს და მათი ძირითადი საქმიანობა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების დაცვით, მათი სოციალური, პოლიტიკური, კულტურული სტატუსის გაუმჯობესებისათვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობით, ასევე პროფესიული გადამზადებით განისაზღვრება.

26 თებერვალი 2020წ - თბილისის საკრებულოში პროექტის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია და მასშტაბების გაზრდა“ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია სხვადასხვა საინფორმაციო საქმიანობისა და შეხვედრის ჩასატარებლად ქალთა და გოგონათა მხარდასაჭერად.

28 თებერვალი 2020წ - თბილისის საკრებულოსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, საკრებულოში გენდერული საბჭოს წევრებთან ერთად სტუდენტებს შევხვდი. აღნიშნული შეხვედრის მიზანს საგანმანათლებლო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენდა.

თბილისის საკრებულოში, გენდერული საბჭოს წევრებთან ერთად აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები მივიღეთ. პროექტი, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის ხელშეწყობით ხორციელდება თანამედროვე სტანდარტებით, გენდერულად დაბალენსებული სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას გულისხმობს. შეხვედრაზე სამომავლო გეგმები დავსახეთ და სამოქმედო სტრატეგიაზე შევთანხმდით.

13 მარტი 2020წ - ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის, თბილისის საკრებულომ განსაკუთრებულ შემთხვევებში სხდომების ონლაინ რეჟიმში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ასევე, საკრებულოს აპატარის თანამშრომლები გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე, წერილების და სხვა დოკუმენტაციის მიღება წარმოებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ ყველა წესისა და რეკომენდაციის დაცვით განვაგრძობთ სხვადასხვა შეხვედრასა და აქტივობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სხვადასხვა შეხვედრები და აქტივობები პერმანენტულად თავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbsakrebulo.gov.ge).